

# რევამ შალიბაშვილი

## ბიოგრაფია

### განათლება:

- 1993-1998 საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის დოკუმენტური კინოს რეჟისორის სპეციალობა.
- 1985-1988 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ-პროფესიათა ფაკულტეტის კინორეჟისორის საზოგადოებრივი სპეციალობა.
- 1982-1988 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის სპეციალობა.

### სამუშაო გამოცდილება:

- 2009 - დღემდე `სტუდია შალი~, დირექტორი.
- 2006-2008 `შალი ტური~, ტურისტული პროგრამების ხელმძღვანელი.
- 2007 - დღემდე შპს `აგრო ინვესტი~, ინჟინერი (საპროექტო მიმართულების მთ. სპეციალისტი).
- 2004-2007 სათავგადასავლო შემეცნებით-გასართობი კომიქსი `კოტორა~, მთ. რედაქტორი.
- 2005-2006 მასმედისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი, რეჟისურის, სცენარისა და თეატრის ოსტატობის პედაგოგი.
- 1988-2004 **საქართველოს სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობა:**
- 2002-2004 წ. ხალხური შემოქმედების პროგრამების დირექციის რეჟისორი.
- 2000-2002 წ. სამეცნიერო პროგრამების რედაქციის რეჟისორი.
- 1992-2000 წ. შემოქმედებით ჯგუფ `ირას~ ავტორი, ხელმძღვანელი და რეჟისორი.
- 1988-1992 წ. სატელევიზიო გადაცემების კინოფორმე მომზადების განყოფილების კინოთეატრის რეჟისორი.
- 1979-1988 სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო დანასებულება, `ჩარხმშენებელი~ ქარხანა, მუშა.

### საზოგადოებრივი საქმიანობა:

- 2013 `შალიბაშვილთა საგვარეულო კავშირის~ დამფუძნებელი და თავმჯდომარე.
- 2010 საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინების კავშირის დამფუძნებელი, თავმჯდომარე.
- 2004 ტელე-რადიო მუშაკთა პროფესიული გაზეთი `ეროვნული მაუწყებლობა~, ერთ-ერთი დამფუძნებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.
- 2003-2004 საქართველოს ტელე-რადიო მუშაკთა უფლებების დაცვის ასოციაციის გამგეობის წევრი.
- 2002-2004 საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.
- 1995-1998 საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამაშველო სამსახურის მაშველი.
- 1985-1992 კინომოგზაურ-მკვლევართა ჯგუფი `ხომლი~, დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

### პროფესიული მიღწევები და ნამუშევრები:

*მრავალი გადაცემის, სიუჟეტის, ვიდეოფილმის ავტორი/სცენარი, რეჟისორი, თეატრის რეჟისორი, მონტაჟი (კინოფორმე, ნრფივი, კომპიუტერული), გახმოვანება, წამყვანი.*

- 2015 სატელევიზიო გადაცემა "ვაჰ სოფელი" - დერჩი.
- 2014 ვიდეოფილმი "ჰესი ნამოხვანი".
- 2013 ვიდეოფილმი "მოპარული 3 დღე".
- 2010-2011 შემეცნებითი ჩანართი "მამული, ენა, სარწმუნოება~. 14 ნიმუში. (შემდგომ წლებში, სხვადასხვა ტელევიზიისა და რადიოს ეთერში, სხვა სათაურით, იგივე შინაარსის სიუჟეტები გაჩნდა).
- 2009-2010 სასოფლო-სამეურნეო შემეცნებითი ტელეპროგრამა `მინათმოქმედის~ შექმნა და 49 გადაცემის მომზადება.

- 2009 სამეცნიერო-შემეცნებითი მონოლოგი `თუ კაცი გონიერია...~ შექმნა და 4 გადაცემის მომზადება.
- 2009-დან ყველა ნამუშევარი გადაიცემა საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიით `ერთსულოვნება~, რეგიონული ტელეკომპანიებით: `რიონი~ - ქუთაისი, `მე-9 ტალღა~ - ფოთი, `ევრისი~ - სენაკი, `გურია~ - ოზურგეთი, `იმერვიზია~ - ჭიათურა, `დია~ - ხაშური, `მე-9 არხი~ - ახალციხე, `ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანია~ - რუსთავი, `გურჯაანი~ - გურჯაანი, `თანამგზავრი~ - თელავი, `ლტვ~ - ლაგოდეხი, `25-ე არხი~ - ბათუმი, ტელეკომპანია `ტვ-3~ - თბილისი.
- 2002-2004 საქართველოს ტელერადიომუწყებლობის ხალხური შემოქმედების პროგრამების დირექციაში გადაცემა `მრავალჟამიერის~ პერიოდული მომზადება. 8-მდე გადაცემა.
- 2001-დან განხორციელდა `ირაო~ს ფარგლებში შესრულებული ნამუშევრების რეტროსპექტივა აჭარის ტელევიზიით და ტელეკომპანიით `იბერია~.
- 1995-1999 საგანგებოდ მზადდება სიუჟეტები დილის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამისათვის `ალიონი~ და `ვიდეოპატრული~.
- 1993-2001 1993 წელს სათავგადასავლო-შემეცნებითი რადიოპროგრამა `ირაოს~ შექმნა, 1994-96 წლების ზაფხულის პერიოდში, დამატებით `ირაო~ს დილის გამოშვებების მომზადება. ჯამში 420 გადაცემა.
- 1992-2000 1992 წ. საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე საავტორო სათავგადასავლო-შემეცნებითი პროგრამა `ირაო~. 85 ნამუშევარი (პროექტი შეჩერდა 2000 წელს). ისტორიული და სათავგადასავლო ვიდეოფილმები (`ფიქრები 1921 წლის თებერვალზე~, `მთვლემარე გველეშაპი~, `გონია~), საბავშვო-შემეცნებითი გადაცემა `ციდა~ (ნიმუში), ეთნოგრაფიული გადაცემა `კერა~, რუბრიკა: `მხოლოდ ერთი სიცოცხლე~, `თავგადასავალზე მონადირე~, `მოზარდი და გარემო~, `კიდევანი~, `ეკოლოგია~, საბუნებისმეტყველო-შემეცნებითი გადაცემა `სპეკალი~ (ნიმუში).
- 1988-1992 საქართველოს ტელერადიომუწყებლობის პირველ არხზე ოპერატორად მუშაობის დროს გადაღებულია 900-მდე გადაცემა, სიუჟეტი, სატელევიზიო კინოსპექტაკლი და კინოფილმი (16 მმ).
- 1985-1991 40-მდე სამოყვარულო კინოფილმი (16 მმ): `და განვლენ დრონი~, `ექსპედიცია ხვამლის მთაზე~, `არის ნამგრევი ეკლესიისა~, `ფერთა-ფერია~, `ხვამლობა~, `გზა~, `გზა-2 ანუ 1 წლის შემდეგ~, `თარგიმის ქვაბული~, `წინაპრის მკერდზე~, `მე ჯავახეთს რა მიშავდა~, `ავს თუ ავი არ უწოდე~, `ყაყაჩოს წითელი ფერი~, `ზარზმა~, `იდუმალიდან მინაძემდე~, `კაბენი~, `თხინვალი~, `გრემ-ნეკრესი~, `ჰერეთი~, `მინისძვრა რაჭაში, 1991 წ., `მოუშუშებელი იარა~ და სხვა.

**მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში:**

- 2003 თბილისის სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი `ნიამორი” (საქართველო) - ექსტრიმის ნომინაციის გამარჯვებული.
- 1999 სატელევიზიო და რადიოპროგრამების კიევის საერთაშორისო ფესტივალი ”ეკოეთერი-99” - ფინალისტი.
- 1992-1999 მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო ექსპედიციებში, როგორც საქართველოში, ასევე იტალიასა და საფრანგეთში.
- 1998 იტალიის სამთო-სამაშველო კორპუსში სამაშველო სტაჟირების გავლა.
- 1998 ტრენტოს სამთო-სათავგადასავლო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი (იტალია) – ფინალისტი.
- 1998 სანტანდერის სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი (ესპანეთი) – მონაწილე.
- 1995 საერთაშორისო ეკოფორუმის მონაწილე, ქ. კიევი (უკრაინა).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“  
სამეურვეო საბჭოს

რეჟისორ რევაზ შალიბაშვილის

### სამოტივაციო წერილი

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საეთერო სივრცეში მყოფი კომპანიებისაგან შენაარსით განსხვავებული უნდა იყოს, მისი უპირატესობა კი შემოქმედება და ორიგინალური პროდუქციის წარმოება. მაუწყებელი ცოცხალი ორგანიზმივითა და უნდა ვითარდებოდეს, ამის შესაძლებლობა მაუწყებელს ყოველთვის ჰქონდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერი მოსახლეობის კეთილი, ხალისიანი და შემეცნებითი მეგზური უნდა გახდეს. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეკრანის შინაარსი არაფრით განსხვავდება კერძო კომპანიებისაგან.

საქართველოს ტელერადიომაუწყებლობაში თითქმის ოცი წელი ვიმუშავე და ვიმედოვნებ, რომ შემწევს იმის უნარი, სამეურვეო საბჭოს მხარდაჭერით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ნამდვილი და კარგი გავხადოთ.

12.12.2016

რ. შალიბაშვილი

